სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-07/33

ქ. თბილისი 24 მარტი 2026 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ადგილმდებარეობის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ და „ს“ ქვეპუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ და „ჩ“ ქვეპუნქტების, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, თამარ ლომინაძის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. განხორციელდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ადგილმდებარეობის ცვლილება და ინსტიტუტის განთავსების ადგილად განისაზღვროს ქ.თბილისი, კოსტავას,77, მე-6 სასწავლო კურპუსი.
2. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ადგილმდებარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით საორგანიზაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   ლავრენტი გუდავაძე - კომისიის თავმჯდომარე,
   ვახტანგ კვარაცხელია - კომისიის წევრი,
   ქართლოს ყაჭიაშვილი- კომისიის წევრი,
   გიორგი გიორგობიანი - კომისიის წევრი,
   თეიმურაზ ბულია - კომისიის წევრი,
   თალიკო ჟვანია- კომისიის წევრი,
   დავით ბარბაქაძე - კომისიის წევრი,,
   გელა ყიფიანი - კომისიის წევრი.
3. კომისიამ კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ადგილმდებარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით ინსტიტუტის მიერ თბილისში, გრიგოლ ფერაძის,4-ში მდებარე შენობის გამოთავისუფლებისა და ახალ მისამართზე ქ.თბილისში, კოსტავას,77-ში განთავსების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. მოწონებული იქნეს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ადგილმდებარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ინსტიტუტის დებულებაში (დანართი).

5. წინადადება ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ადგილმდებარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით და ინსტიტუტის დებულებაში წარმოდგენილი ცვლილებები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**